განკარგულება:**g-63. 63233595**
თარიღი:**25/12/2023**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლის'' 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს III თავის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის "ტ" ქვეპუნქტის და მე-3 პუნქტის, IVთავის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განიხილა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლის'', 2024 წლის ხარჯის, მათ შორის საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის დამტკიცების საკითხი და

გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლის'', 2024 წლის პროგრამა (დანართიN1).

2. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლის", 2024 წლის შემოსავლების გეგმა სუბსიდიის ჩათვლით (დანართი N2).

3. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლის", 2024 წლის ხარჯი (დანართი N3).

4. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლის", 2024 წლის საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი (დანართი N4).
5. დამტკიცდეს სახელოვნებო და სამუსიკო სკოლების პედაგოგთა სახელფასო განაკვეთის გაანგარიშება (დანართი N5).

დანართი N1

ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლის'' პროგრამა

აღწერა. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლის პროგრამა გათვლილია დაწყებითი სამუსიკო განათლების სასწავლო გეგმაზე (სწავლის ხანგრძლივობა 6 წელი), იგი ემსახურება მოზარდთა მხატვრული აზროვნების, გემოვნებისა და წარმოსახვის უნარის ჩამოყალიბებას, რომელიც პიროვნებას საშუალებას აძლევს სრულფასოვნად ჩაერთოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

სამუსიკო განათლების პრინციპულად დადებითი მხარეა მისი უწყვეტობა. გარკვეულ დრომდე იგი ძირითადად პროფესიულ სამუსიკო განათლებაზე იყო ორიენტირებული.მოსწავლეების უმრავლესობისთვის ზოგჯერ შეუძლებელი იყო პროგრამების დაძლევა,რაც მუსიკასთან გაუცხოვებას იწვევდა,თუმცა არსებული პროგრამა ორიენტირებულია არა მხოლოდ პროფესიულ სამუსიკო განათლებაზე, არამედ მოზარდი თაობის ინტერესებისა და არჩევანის უფლების გათვალისწინებით. იგი მიღწევადია თითოეული მოსწავლისათვის სხვადასხვა ხარისხით, შესაძლებლობიდან გამომდინარე.პროგრამა ითვალისწინებს მოზარდი თაობის ინტერესებს, მისი არჩევანის უფლებას, მობილურობას და უფრო ეფექტურს ხდის მუსიკალურად განათლებული პიროვნების აღზრდაზე ორიენტირებული სწავლების შედეგს.

2023-2024 სასწავლო წლის მდგომარეობით სკოლაში ირიცხება 130 მოსწავლე. აქედან 39 ვაჟია და 91 გოგონა.სკოლაში არ გვყავს შშმ მოსწავლეები. სწავლის გადასახადი თვეში ერთ ბავშვზე შეადგენს 10 ლარს, საკუთარი სახსრებით ნაწილობრივ ფინანსდება ხელფასი, სუბსიდიით ფინანსდება ხელფასები და სხვა მიმდინარე ხარჯი.

სამუსიკო განათლების მიზანია ცოდნის მიცემა მუსიკის სფეროში, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განათლებულ, კულტურულ ადამიანად ჩამოყალიბებას, მუსიკის მსმენელის, შემსრულებელ-მოყვარულის აღზრდა, შემოქმედებითი საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეთა გამოვლენა, ელემენტარული კომპლექსური ცოდნა მუსიკის შესახებ, გამოიმუშაოს პირველადი საშემსრულებლო უნარ-ჩვევები და აღზარდოს „მსმენელი“.

სამუსიკო განათლების მიზანია გენდერული ბალანსის დაცვა.საჭიროა მოხდეს მუსიკის მასობრიობა და პოპულარიზაცია , გაიზარდოს მუსიკის მოყვარული თაობა.მოსწავლეებს შეუქმნას შესაბამისი პირობები ინდივიდუალური მიდრეკილებისა და შემოქმედებითი განვითარებისთვის.გააცნოს და შეაყვაროს, როგორც მშობლიური,ასევე მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობა,მუსიკალური ხელოვნების ნიმუშები,მუსიკის სფეროში მოსწავლეს მისცეს სრულფასოვანი,აკადემიური ბაზა.მიზანია მოსწავლეთა მასობრივი ჩართულობა და მათი მხარდაჭერა სხვადასხვა ღონისძიებებში,საჯარო გამოსვლებში.

აუცილებელია სკოლაში ასწავლიდეს მაღალი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგები,რადგანაც სწორედ მასწავლებელი უყრის საფუძველს ბავშვის სულიერ,მორალურ,მხატვრულ და ესთეტიკურ მხარეს.სწორედ მასწავლებელია ბავშვის მეგზური ხელოვნების სამყაროში.სკოლის მიზანია კონტიგენტის მოზიდვა და მისი შენარჩუნება.

დაწყებითი სამუსიკო განათლების ამოცანებია საკრავით ან ხმით ინდივიდუალური მუსიკის ჩვევების გამომუშავება. პროფესიული და ხალხური მუსიკის მაღალმხატვრული ნიმუშების გამოცნობა, მუსიკის მოსმენის უნარის და ჩვევების ჩამოყალიბება. მუსიკის შესახებ კომპლექსური ცოდნის მოწოდება. მონაწილეობის მიღება საჯარო გამოსვლებში. გათვალისწინებულია მოსწავლის ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობები. მისი არჩევანის თავისუფლება და ინტერესები. სწავლებაში მოიაზრება არა ერთი კონკრეტული გზა, არამედ

მასწავლებლისა და მოსწავლის მიერ ერთობლივად შერჩეული ოპტიმალური

ვარიანტის ძიება, რა ისწავლა მოსწავლემ, როგორ ისწავლა და როგორ შეუძლია ამ ცოდნის გამოყენება.

დაწყებითი სამუსიკო განათლების ამოცანაა მოსწავლეს შეუქმნას ჯანსაღი და გონივრული გარემო,რათა სრულიად ათვისებული იქნას თითოეული მოსწავლის შესაძლებლობები და პოტენციალი.აქტიურად ჩაერთონ სხვადასხვა აქტივობებში,საზოგადოებრივ ცხოვრებაში.გამოავლინოს განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეები.აუცილებელია შეძენილი ცოდნის დაგროვებით,მოსწავლემ შეძლოს თავის საჯაროდ წარმოჩენა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები.

შეძენილი ცოდნის პრაქტიკული შესაძლებლობა და დემონსტრირება.მოსწავლის მზადება და წარმოჩენა შუალედურ გამოცდებზე,დახურულ კონცერტებზე,ღია გაკვეთილებზე.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი.

ძირითადი ტექნიკური უნარ-ჩვევების გამოყენებით შესწავლილის დამოუკიდებლად და წიგნიერად გადმოცემა.

მუსიკის პოპულარიზაციის მიზნით გამართული საანგარიშო კონცერტები, საჯარო გამოსვლები ინტერესების შესაბამისად შერჩეული პროგრამის ფარგლებში.

განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეთა გამოვლენა და მიღწეული წარმატებები.ხელოვნების ღირებულებების აღქმა და შემოქმედებითი მიდგომა სხვადასხვა აქტივობების დროს.მოსწავლეთა კოლექტიური შემოქმედების ხარისხის გაუმჯობესება.

კონკურსში მონაწილეთა და უმაღლეს სამუსიკო სასწავლებლისათვის მომზადებულ მოზარდთა რაოდენობა.

დანართი N2

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლის“

2024 წლის შემოსავლების გეგმა (სუბსიდიის ჩათვლით)

(ათასი ლარი)

#	შემოსავლების დასახელება	თანხა
1	სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან	94,40
2	საკუთარი შემოსავალი (სწავლის ქირა)	10,40
	სულ:	104,80

დანართიN3

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლის“ 2024 წლის ხარჯები.

(ათასი ლარი)

ეკ. კლას. კოდი	ორგან იზაციუ ლი კოდი	სამტრედიის მუნიციპალი ტეტი	სულ ჯამი სუბსიდია ადგილობრი ვი ბიუჯეტიდან და საკუთარი შემოსავლე ბიდან	2024 წლის ადგილობ რივი ბიუჯეტის სუბსიდიი თ გასაწევი ხარჯები	2024 წლის საკუთარი შემოსავლ ებით გასაწევი ხარჯები
	050201 02	ა.(ა).ი.პ. N2 სამუსიკო სკოლა	104,80	94,40	10,40
		მომუშავეთა რიცხოვნობა	20	20	
2		ხარჯები	103,30	92,90	10,40
2.1		შრომის ანაზღაურება	94,90	84,50	10,40
2.2		საქონელი და მომსახურება	8,40	8,40	0.00
31		არაფინანსუ რი აქტივების ზრდა	1,50	1,50	0.00
31.1		ძირითადი აქტივები	1,50	1,50	0.00

დანართი N4

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლის“

2024 წლის საშტატო განრიგი

N	საშტატო ერთეულის დასახელება	საშტატო ერთეულ ის რაოდენ ობა	ხელფასი ს რაოდენ ობა ერთ თვეში	წლიური სუბსიდიით	წლიური საკუთა რი შემოსავ ლით	სულ წლიური
1	დირექტორი	1	726	8712		8712
2	ბუღალტერი	1	660	7920		7920
3	მნე	1	292	3504		3504
4	საქმეთა მმართველი	1	292	3504		3504
5	ინსტრუმენტის ამწყობი	1	240	2880		2880

6	დამლაგებელი	1	226	2712		2712
7	პედაგოგი	14	5468	55216	10400	65616
	სულ:	20	7904	84448	10400	94848

დანართი N5

სახელოვნებო და სამუსიკო სკოლების მასწავლებელთა სახელფასო განაკვეთის გაანგარიშება

	5 წლამდე		5-10 წლამდე		10 წლის ზემოთ	
	განაკვეთი	სთ.ღირებ.	განაკვეთი	სთ.ღირებ.	განაკვეთი	სთ.ღირებ.
საშუალო განათლება	230,38	12,80	235,62	13,09	242,85	13,49
სპეციალური საშუალო განათლება	254,47	14,14	260,91	14,50	267,34	14,85
ბაკალავრი	278,97	15,50	285,41	15,85	291,85	16,21
მაგისტრი	303,50	16,86	309,93	17,22	316,35	17,57
კანდიდატი,დოქტორი	335,87	18,66	346,15	19,23	392,69	21,82

6. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია
კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი